


ახალი თაობა



14 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+ ილქვა II
ოქროს ხანა სამტომეულის მეორე ტომი
8 ლარი



ოთხშაბათი, 15 მაისი, 2013

№113 (6114)

ფასი: 30 თეთრი

ელისო კილაძე: „გია სუსაშვილი ბიძინა ივანიშვილს ატყუებს“



ბიზნესმენები ლაშა ნაცვლიშვილს ტერორში ადანაშაულებენ

გვ. 5



ბიძინა ივანიშვილი: „ვაღამდელი საპარლამენტო არჩევნები არ იქნება“

გვ. 3

პრემიერი ღარიბაშვილის მუშაობით კმაყოფილია

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ივანიშვილს უპირისპირდება გვ. 4

ვინ ნააგებინა მამუკა არეშიძის არჩევნები

— გვ. 2 —



სოფიო სორგუანი: „სალომე ზურაბიშვილი დასაქარბი ფიგურა არ არის“

გვ. 4



მარგველაშვილი პოლიტიკურ და ბიზნესწრეებთან არ ასოცირდება

კახა კუკავა: „ნულქიანი მთავრობაში მნარე სუხას როლს ასრულებს“

გვ. 2



ირაკლი ღარიბაშვილი ფილიპ ღიმიტროვსა და თომას ჰამერბერგს შეხვდა




გვ. 6

სოზარ სუბარი დღეს ქურნალისტავს შეხვდება



გვ. 6

9 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+ ფროიდი
8 ლარი



ფროიდი



4 „ავღანეთში ქართველი სამხედროების დაღუპვის ფაქტები შესასწავლია“

6 აოლმთია მაცხელსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო გამოყენებისთვის ერთი პირი დააკავე

7 მარინუანას დაკრიმინალიზაცია თაქიდან მის მოხმარებას გაზრდის?

6 დაჭრილი ქართველი სამხედროების სიმოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება



კახა კუკავა: „წულუკიანი მთავრობაში მხარე სუსას როლს ასრულებს“

ნინა ცაბაძე

ინტერვიუ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდარ კახა კუკავასთან

— ბატონო კახა, მოდი, ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციის შეფასებით დაიწყო ჩვენი ინტერვიუ-თქვე, როგორც ოპოზიციის წარმომადგენელი, როგორ აფასებთ მის განცხადებებს?

— ბიძინა ივანიშვილის გუშინდელი პრესკონფერენცია, ძალიან რბილად რომ შეეფასო, კომპარი იყო. ასეთი სუსტი გამოსვლა მე არ მახსოვს, არა მარტო ბიძინა ივანიშვილისა, მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, ის არაა დიდი მჭევრმეტყველი, მაგრამ ასეთი კომპარი გამოსვლა არ ჰქონია არც გამსახურდას, არც შევარდნაძეს და არც სააკაშვილს. რა თქმა უნდა, მათაც ჰქონიათ სუსტი და ძლიერი განცხადებები, მაგრამ ივანიშვილის გუშინდელი პრესკონფერენცია მსოფლიო ანტიშედეგების ისტორიაში შევა. ვიტყვით, რომ ვიღაცა სუსტია, ვიღაცა ძლიერია, აბა, დავაი, დავაი... ცოტა სუსტა და გამართული ქართული უნდა მეტყველებდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და არა ავლაბრულ მეჯღანესავით.

— რაც შეეხება დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკას?

— მე ვფიქრობ, რომ დავკვირვების დრო გავიდა. ასე დღევანდელი და ორასი წელი, შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელისუფლება, ნინა ხელისუფლებისგან არაფრით არ განსხვავდება, არის ზუსტად იგივე. ერთადერთი, რაც განსხვავდება და რაც ქართველ ხალხს ატყუებს, არის ის, რომ ნაციონალური მოძრაობა ჩვენ გავსოვს 2012 წლის და არ გავსოვს 2004 წლის უბრალოდ. მე პოლიტიკოსი ვარ და კარგად მახსოვს 2004 წელიც. დღევანდელი „ქართული ოცნება“ არის ის, რაც იყო ნაციონალური მოძრაობა 2004 წელს, გაიხსნა იქნება ის, რაც იყო 2005 წელს, ხოლო ორი წლის შემდეგ როდესაც გახდება ის, რაც იყო 2007 წელს, მერე უკვე თითოეული კბენა გვიანი იქნება. ძალიან ბევრი ადამიანი, ჩემი მეგობრები თუ ყოფილი მეგობრები, ვინც ლოიალურად უყურებენ და მეუბნებიან, კია, რა მოხდა მერე, თუ პოლიციამ მიტინგი დაარბია, რა მოხდა, თუ პოლიციამ არა-სამთავრობოს წარმომადგენელს სცემდა, რა მოხდა მერე, თუ ცისფერს რაღაცა გადაუღეს და ტელევიზორში აჩვენეს — მე მათ მინდა ვუთხრა, რომ ასეთი რა მოხდათი დაიწყო სააკაშვილის რეჟიმის გარყვანა და დღევანდელი ხელისუფლება რუსულად იმ გზაზეა შემდგარი. არანაირი ცვლილება დღევანდელ ხელისუფლებასა და ნინა ხელი-

სუფლებას შორის არ არის. იყო გარკვეული სიტყვები, განცხადებები, ბევრი ამბობდა, რომ აი, ახლა იქნება, აი, ახლა იქნება, მაგრამ ფაქტია, რომ არც ერთი ძირითადი მიმართულებით საქართველოში პროგრესი არ განხორციელებულა. რაც იყო კორუფცია, დღეს იმაზე მეტია. იყო კეზერაშვილი — დღეს არის ხუბაშვილი. სამართლიანობის აღდგენა არ მოხდება, დამნაშავეების დასჯა არ მოხდება, უდანაშაულოების რეაბილიტაცია, ფაქტია, რომ არ ხდება. არც ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება, რაც არის, ხედავთ, რომ ისიც უქმდება. ჩვენ ვხედავთ, რომ ადგილობრივი წარმოება იხურება, იგივე კვერცხის იმპორტი და სხვა საქმეები რომ ავიღოთ. დამოკიდებულებები საგარეო პოლიტიკაში არ იცვლება, ქართველი ბიჭები ავღანეთში ისევ დაილუბებიან და ზოგიერთი მიმართულებით გვექნება უფრო მეტი „ნინსლა“ — უფრო მეტი ქართული მინა გაიყიდება უცხოეთებზე და გეიალუმი, რომელიც სააკაშვილმა ვერ გაბედა თბილისში, წელს, 17 მაისს, ივანიშვილის აქტიური ლობირებით ჩატარდება რუსთაველის გამზირზე.

— ანუ რა მივლით, ბატონო კახა?

— მივიღეთ ის, რაც მივიღეთ 2003 წელს ანუ დრაკონის რეინკარნაცია, როდესაც შეიცვალა თავისი სახე რეჟიმმა და შევარდნაძის მაგივრად 2003 წელს მოვიდა სააკაშვილი, მაგრამ რეჟიმის მთელი სახე დარჩა იგივე — მოქალაქეთა კავშირის ენოდა ნაციონალური მოძრაობა. ახლაც იგივე მოხდა, 2012 წელს ნაციონალური მოძრაობას ენოდა „ქართული ოცნება“ და ამ პროცესს ენოდება კოაბიტაცია. ვინც კარგად იცნობს მსოფლიო ისტორიის ან თუნდაც იგივე სასულიერო ლიტერატურას, მან იცის, რომ ეს მოვლენა აღწერილია, ეს პირველად არ ხდება, ეს არის ისტორიის განუყოფელი ნაწილი, დანაშაული იქიდან, რომ ცრუ მესიები აუცილებლად უნდა მოვიდნენ ნებისმიერი კრიზისის დროს და დამთავრებული იმით, რომ რეჟიმების რეინკარნაცია, ეს არის მათ მიერ საკუთარი თავის გახანგრძლივების საშუალება. მოქალაქეთა კავშირის ნომენკლატურა უკვე მეორედ ბრუნდება ხელისუფლებაში. ერთხელ ეს მოხდა ნაციონალური მოძრაობის სახელით და ახლა მეორედ მობრუნდის, როგორც „ქართული ოცნება“. ის ხალხი, ვისთან ერთადაც ჩვენ წლები გავატარეთ რუსთაველის გამზირზე და ვიბრძოდით სამართლიანობისათვის, რა თქმა უნდა, ისევე დარჩება ქუჩაში, ვერაფერ ვერ მიიღებს ვერაფერს და ღირსებიც იქნებიან, იმიტომ რომ მათ უღალატეს საკუთარ პრინციპებს, როცა პირველ ოქტომბერს 41 ნომერი შემოხაზეს.

— თუმცა, დიდი იმედი ჰქონდა საზოგადოებას, რომ ეშველებოდა და

რალაც შეიცვლებოდა.

— იმაზე დიდი იმედი არ ჰქონია, ვიდრე 2003 წლის ნოემბერში გვექონდა, როდესაც მიხეილ სააკაშვილს ვირჩევდით და, მგონი, დასკვნა უნდა გავკეთებინა. არ შეიძლება ამორალური და უზნური გზით ქვეყნის აღმშენებლობა. იმ ქვეყანაში, რომელსაც ზნეობრივი საფუძვლები მორღვეული აქვს, შეუძლებელია, რაიმე წარმატებას მიაღწიოს. ჩვენ გვინდოდა მოკლეზე გადასვლა, რომ დაგვეყენებინა პრინციპები, დაგვეყენებინა ფასეულობები, დაგვეყენებინა თანამშრომლობები, ხმა მიგვეცა ივანიშვილისთვის და ივანიშვილი აგვაყვავებდა. აი, ახლა ჰქონდეთ ივანიშვილის აყვავებული ქვეყანა.

— თქვენ საუბრისას ფარულ ჩანაწერებზე ისაუბრეთ. მოვისმინეთ როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის, ისე პრემიერის განცხადება იმის თაობაზე, რომ ეს ფარული ჩანაწერების არქივი სრულიად განადგურდება.

— ჩვენმა პარტიამ გააკეთა პირველად განცხადება, რომ ფარულ ჩანაწერებს შესაბამისი გამაოქმადებელი საქმეთა სამინისტრომ. ეს განცხადება ერთი კვირის წინ გავაკეთეთ და როდესაც ეს ტელეეკრანში გაიმეორა დიმიტრი ლორთქიფანიძემ, იქ გოგა ხაინძრავა იყო „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი და კინაღამ გალახა ლორთქიფანიძე პირდაპირ ეთერში, როგორ წარმოიდგინეთ, რომ ეს შეიძლება „ქართული ოცნებას“ გაუკეთებინაო და ბიძინა ივანიშვილმაც ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, როგორ შეიძლება, ეს სიბინძურე „ქართული ოცნების“ კადრებს დაეახსნალოთ. დიხა, „ქართული ოცნება“ ჩაიდინა ეს სიბინძურე, დღეს ეს უკვე დადასტურებული ფაქტია და მინდა გითხრა, რომ ახლაც გრძელდება ეს სიბინძურე, მიმდინარეობს გელა ხვედელიძესთან მოლაპარაკებები, რათა მან არ დაასახლოს თავისი თანამონაწილები. ახლა მინდა ბატონო ბიძინა ივანიშვილსა და გოგა ხაინძრავასაც ვუთხრა — ხომ არ გჯეროდათ, მაშინ რაც გითხარით? აი, ახლა მიაკვირვით ყურადღება, ახლა, ამ წუთებში მიდის გელა ხვედელიძესთან მოლაპარაკებები, რომ მან არ დაასახლოს ამ დანაშაულის თანამონაწილები.

— ვინ არიან მისი თანამონაწილები?

— ვინა ხუბაშვილი, რომელთან დაკავშირებითაც ოფიციალური ინფორმაციები არსებობს, ხოლო ნაცვლის ვილთან დაკავშირებით კონკრეტული ინფორმაციები არა მაქვს.

— რა ფეროვნება გია ხუბაშვილი ქართულ პოლიტიკაში?

— რა, არ გვიანხავს ჩვენ ეს? ჯერ იყო ნუგზარ შევარდნაძე, მერე კეზერაშვილი და ახლა ხუბაშვილი. ხომ გეუბნებით, არაფერი შეცვლილა, მოქალაქეთა კავშირია ისევე ხელისუფლებით, არაფრით ინფორმაცია აქვს ვაჟა ლელუაშვილის და გელა ხვედელიძის წინააღმდეგ და აღნიშნულ მუხლებზე გაზეთ „ქრონიკა პლუსში“ — ში გამოქვეყნებს.

— ვიდრე შსს-ში კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილის ვაჟა ლელუაშვილის გუნდი არსებობს, ამ უწყების მუშაობა ნორმალური ვერ იქნება, — ეს განცხადება მამუკა არეშიძემ გუშინ, „პრაიმ-ტაიმი“-ს პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

— მამუკა არეშიძის განცხადებით, შს მინისტრის პირველი მოადგილე გელა ხვედელიძე კუდის ყოფილი უფროსის მოადგილის, ვაჟა ლელუაშვილის პოზიციების გამყარებას ცდილობდა. არეშიძის თქმით, როდესაც ის გარდაბნის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად კენჭს იყრიდა, გელა ხვედელიძე სთავაზობდა შტაბში ემუშავა გვარად გასანავს, რომელიც ვაჟა ლელუაშვილის აგენტი იყო.

ბაში და იცვლება მხოლოდ სახელები და გვარები. მხოლოდ პიროვნებებზე არ შეიძლება ორიენტაცია, ივანიშვილი კარგი კაცია თუ ცუდი, სისტემა უნდა დაინგრეს. ჩვენს საზოგადოებაში უნდა შედგეს დისკუსია, ბოლოს და ბოლოს. ჩვენ ვგაბრალებენ პრორუსულობას ვითომ პროდასავლური ძალები და გაშმაგებით აშენებენ დასავლურ დესპოდიზმს. ჩვენს საზოგადოებაში უნდა შედგეს დისკუსია, გვინდა ევროპა თუ არა ეს ევროპა და ევროპული დემოკრატია. თუ გვინდა ევროპული დემოკრატია, მაშინ სასწრაფოდ საბოლოო საზოგადოებამ ხმა უნდა ამოიღოს ივანიშვილის წინააღმდეგ, იმიტომ რომ ის, რასაც დღეს ივანიშვილი აკეთებს, ევროპული დემოკრატიის დასამარებაა. ადამიანი, უბრალოდ, შაყრობს ევროპულ დემოკრატიაზე, ამბობს, იმას დავინშავთ ოპოზიციად, ამას დავინშავთ ოპოზიციად, ჟურნალისტებსაც რა ავტოდარბევა მოუწყო, ეს კი ნახეთ. ზოგს მოსწონს მისი ასეთი აგრესიული დამოკიდებულება, კი ბატონო, მაშინ ვთქვათ, რომ არ გვდომებია ევროპა და გვინდა თურქმენეთისა, ვთქვათ, რომ თურქმენეთს ვაშენებთ და მაშინ ივანიშვილი შესაფერისი ლიდერია.

— გამოსავალს რაში ხედავთ, ბატონო კახა?

— მართალია რომ გითხრათ, გამოსავალს ვერაფერში ვერ ვხედავდემოდათ თუ გამოგვიგზავნის რაიმე სპეცდამხმარებას, თორემ სხვა ვერაფერში ვხედავ სხვას. მენტალობა, ფსიქიკა უნდა შეიცვალოს, პოლიტიკური ძალები ვერაფერს გავაკეთებთ, თუ ხალხის ცნობიერება არ შეიცვალა. ხალხის ცნობიერება ძალიან გაირყვნა და ამაში შევარდნაძის ხელისუფლება მისი მიუძღვის დიდი წვლილი. ადრე მას არასწორი, მაგრამ პრინციპების გამო მოდიოდა ხალხი პოლიტიკაში, დღეს კი 99,99% პოლიტიკაში მოდის ფულითა და კარიერის გამო. სანამ ეს მიდგომები არ შეიცვლება, მანამ, არა მგონია, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა უკეთესობისკენ წავიდეს. ამას შეიძლება თაობის შეცვლა სჭირდება, შეიძლება ცნობიერების შეცვლა სჭირდება, მაგრამ რალაცა არსებითი და შინაგანი უნდა შეიცვალოს. ამას მინისტრების და თუ გინდათ მთავრობების შეცვლა არ უშეუძლებს.

— ბატონო კახა, როდესაც რესტორანში თავდასხმა მოხდა ნაციონალურზე, მაშინ თქვენ განაცხადეთ, თუა წულუკიანი უნდა გადადგესო. რატომ გააკეთეთ ეს განცხადება?

— იმიტომ, რომ უვარგისი მინისტ-



ტრია. „ქართული ოცნების“ მომხრეები ამბობენ, როგორ მომწონს თუა წულუკიანი, რა კარგი, მოსწონს ენა აქვსო. მოსწონს ენა თუ აქვს, დაჯდეს სადმე საღამოს თოქშოში. იუსტიციის მინისტრს ვეკვება დამნაშავეების დასჯა და უდანაშაულოების დასჯა. რომელიმეს აკეთებს?! იუსტიციის მინისტრის პლურალის დღეს ითვლება ის, რომ აი, როგორი მთავრე ენა აქვს, კახეთში რომ შეიძლება ჰყავდეთ რომელიღაცა სოფელში მხარე ცუცა, აი, იმ ფუნქციას ასრულებს ის დღევანდელ მთავრობაში. მინისტრობა — ეს არის უმინშენილოვანი ფუნქცია და არა ჯილდო ან ორდენი. თუა წულუკიანი და კიდევ მისნაირი მინისტრები რომ გვყავს, სწორედ ეს არის სახელმწიფოსთვის საფუძვლის გამოთხრა. სახელმწიფო მათ საქმიანობაზე დგას. მინისტრები ჩვენი სახელმწიფოს საბურავები არიან და ჩათვალეთ, რომ თუა წულუკიანი და იუსტიციის სამინისტრო დღეს არის ჩაფუშული საბურავია. ამიტომ მაქვს პრეტენზიები, თორემ პირადად მას არ ვიცნობ და მხოლოდ ტელევიზიით მყავს ნახაზი. ის, რომ დატოვდება პროპაგანდას უკეთეს გეგმის აღლუმს საქართველოს დედაქალაქში, ამის გამო მისი მოღვაწეობა კრიტიკის საგანი იქნება არა მარტო მანამდე, ვიდრე ის იუსტიციის მინისტრი იქნება, არამედ ის მინისტრი აღარ იქნება და ამ თემის შეფასებებში, რომ საქართველოში ის ვხვდება ამ აქციის გამართვის პირველი ინიციატორი. ისინი ასრულებენ დასავლეთის დავალებას, რომ ქართველ საზოგადოებაში მოიხსნას ეს კბე, რომ ცისფერობა არაფერია, მერე რა, თუ გვები მომრავლებიან, მერე რა, თუ შვილი ცისფერი გვეყოლება. მალე ერთსქესიანა ქორწინებაზეც ალაპარაკდებიან და ასე... აი, ამ სოდომის დაშკვიდრება უნდა მათ. ეს აქცია არის ამის გამოხატულება. ჩვენთან იყო ტაბუ, რუსთაველის გამზირზე ვერაფერს გაბედავდა მსგავსი აქციის გამართვას. ეს არის ამ ხელისუფლების ანტიეროვნული და ანტიმართლმადიდებლური არსი.

— საუბრის ბოლოს საბრძოლველ-ტო არჩევნებზეც მინდა გკითხოთ. საზოგადოება მოუთმენლად ელოდება, ვინ იქნება ოპოზიციის კანდიდატი.

— კვირის ბოლომდე ამაზე მოვეყალიბდებით და შემდეგ განაცხადებთ. ხუთი ოპოზიციური პარტია მართავს კონსულტაციებს, კვირის ბოლოს გაეწყვიტო ყველაფერს. საგარეოდ, ოპოზიციას ეყოლება ერთიანი პრეზიდენტობის კანდიდატი. თუ ვინ იქნება ის, კვირის ბოლოს გავიცნობთ.

შორენა გონგლაძე

კუდ-ის ყოფილი თანამშრომელი, თვრამეტი წლის თემურ კენკეაშვილი პარლამენტარ გიორგი ფეკრიშვილის, შს მინისტრის ყოფილ მოადგილე გელა ხვედელიძეს და შს-ს ყოფილ მაღალჩინოსან ვაჟა ლელუაშვილს უკანონო ეკონომიკურ ოპერაციებში ადანაშაულებს. როგორც „პრაიმ-ტაიმი“-ს პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე თემურ კენკეაშვილმა განაცხადა, კუდ-ის სისტემაში ოთხი წლის განმავლობაში საქმიანობდა. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში თანამშრომლობა თოთხმეტი წლის ასაკიდან დაიწყო, ხოლო თექვსმეტი წლის ასაკში სერიოზული თანამდებობა ეკავა და კურიობდა ქვემო ქართლში. თემურ კენკეაშვილის განცხადებით, ვაჟა ლელუაშვილმა და პარლამენტარმა გიორგი ფეკრიშვილმა არაერთი კანონდარდვეა ჩაიდინეს, მათ შორის ეკონომიკური დანაშაულებები და საბუთების გაყალბებით 40 მილიონი ევროს მიიღეს, რომლის დირეგებულებაც 13-14 მილიონი ამერიკუ-

306 ნააგებინა მამუკა არეშიძის არჩევნები

ლი დოლარია. აღნიშნულის გამო, გარდაბნის რაიონში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი, ანუ აზერბაიჯანელები შემოსავლის და მინის ფართობების გარეშე დარჩნენ. ბევრ მათგანს მოუხდა საქართველოს დატოვება, ვინაიდან საარსებო საშუალებები აღარ გააჩნდათ.

თემურ კენკეაშვილის განცხადებით, ვაჟა ლელუაშვილს და გელა ხვედელიძეს სხვა დანაშაულებებიც აქვთ, მათ შორის პოლიტიკური დანაშაულებებიც. როგორც კენკეაშვილმა განაცხადა, თუკი ვერ გაიმარჯვა გარდაბნის რაიონში საპარლამენტო არჩევნებში მამუკა არეშიძემ, ეს პირდაპირ დაკავშირებულია გელა ხვედელიძესთან, ვინაიდან სწორედ გელა ხვედელიძის რეკომენდაციით დაინიშნა გარდაბნის გამგებლად გელა ხუციშვილი, რომელიც „ქართული ოცნების“ შტაბში აქტიური ფიგურა იყო, თუმცა სწორედ გელა ხუციშვილის გამო ნააგო არჩევნებში მამუკა არეშიძემ. თემურ კენკეაშვილის განცხადებით, არაერთი ინფორმაცია აქვს ვაჟა ლელუაშვილის და გელა ხვედელიძის წინააღმდეგ და აღნიშნულ მუხლებზე გაზეთ „ქრონიკა პლუსში“ — ში გამოქვეყნებს.

როგორც მამუკა არეშიძემ განაცხადა, როდესაც ის გარდაბნის რაიონში ნინასარჩევნოდ ჩავიდა, მას გამზადებული საარჩევნო შტაბი დაახვედრეს, სადაც შტაბის წევრთა ნახევარი სწორედ ლელუაშვილის კადრები იყო. ამის გამო მან ალტერნატიული შტაბი ჩამოაყალიბა, რომლის თავმჯდომარედ გარდაბნის რაიონის ამჟამინდელი გამგებელი გელა ხუციშვილი დანიშნა.

მამუკა არეშიძის განცხადებით, გელა ხვედელიძე ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ვაჟა ლელუაშვილის და მისი გუნდის პოზიციები გაემყარებინა. როგორც არეშიძემ განაცხადა, ლელუაშვილის კადრები იყვნენ შს მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გარემოცვაში. მისივე თქმით, ინფორმაცია აქვს, რომ მათ უნდა დაესუსტებინათ ღარიბაშვილის და ბიძინა ივანიშვილის პოზიციები.

— მე ახლა მახსენდება ხვედელიძის რამდენიმე გამოთქმა, ერთ-ერთი იყო ის, რომ მას ებრძვის ღარიბაშვილი და მან უნდა დაასწროს ღარიბაშვილს. ის

ახალი თამბაქო

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოხო გოგინაშვილი

მთავარი რედაქტორი — სოხო გოგინაშვილი

რედაქტორი — ლალი ასლიანი

რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგივილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საენიანხო სამსახური — კლარა ბალაშაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55

გაფრეგლების სამსახური — მერაბ ლევინაშვილი

დირექტორი — ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.

ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგენერირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



ბიძინა ივანიშვილი: „ვადავდილი საპარლამენტო არჩევნები არ იქნება“

პრემიერი ღარიბაშვილის მუშაობით კმაყოფილია

ნათია ხურცილავა

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა უსრნალისტებთან მორიგი შეხვედრა გამართა. პრემიერმა უსრნალისტების ყველა კითხვას უპასუხა.

არის თუ არა ახალ მთავრობაში სუსტი რგოლი? პრემიერის თქმით, სუსტი რგოლი არ არის, მეტიც, მისი განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთ-ერთი ძლიერი რგოლია.

– შს სამინისტრო ერთ-ერთი ძლიერი რგოლია. ნახეთ, როგორ მუშაობს ირაკლი ღარიბაშვილი. ეს იყო სირცხვილი, რაც ხდებოდა, რომ მთელი არქივია დაგროვილი. უნდა განადგურდეს ეს არქივი, რომ საზოგადოებაში კითხვები აღარ დარჩეს. რაც შეეხება სუსტ რგოლს, ძალიან ცუდია თუ საზოგადოება ფიქრობს, რომ ღარიბაშვილი არის სუსტი რგოლი, პირიქით. სამსახურადაა, რა თქმა უნდა, რაც მოხდა. თუ ეს სისუსტედ მიგანჩნიათ, მაშინ გეთანხმებით. როცა მინისტრის მოადგილე ასეთ რაღაცას სწადის, თუ ამას მიიჩნევთ სისუსტედ, დაგეთანხმებით, ეს ძალიან სამსახურადაა, მაგრამ მთავარია ის, რაც მერე მოხდა. მთავარია კანონის უზენაესობა შს სამინისტროში. როგორ გგონიათ, ამის მიჩქმალვა იყო რთული ღარიბაშვილისთვის? არაფერი არ არის იმ ჩანაწერებში ისეთი, რომ ზვედელიძისთვის ბრალი წაუყენებინა ვინმეს. მხოლოდ კეთილსინდისიერი გამოძიების შედეგად მოხერხდა ეს და ლაშა ნაცვლიშვილს ამ გამოძიებაში ლიონის ნილი აქვს ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად, – განაცხადა ივანიშვილმა და გირგვლიანის საქმე გაიხსენა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტი კითხვა ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით და ზვედელიძის საქმეზე დაისვა.

ივანიშვილის განცხადებით, გელა ზვედელიძის საქმეში ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად, ლაშა ნაცვლიშვილიც ძალიან აქტიურობდა.

– გამოძიება გრძელდება. ის, რომ ელისო კილაძე და სხვები აცხადებენ, რომ ლაშა ნაცვლიშვილი უნდა გადადგეს, ამას არ აქვს არავითარი საფუძველი ან გია ხუბაშვილს რაღაც უნდა მიეხაჯოს. მე ძალიან ვიხივ საზოგადოებას, კარგად ვაერკვნენ სიტუაციაში. ჯერ არანაირი ბრალდება არ არის წარმოდგენილი მათი მხრიდან და აუთოტაჟი გრძელდება რამდენიმე კვირაა. ამ აუთოტაჟის მსგავსი რთული გახდა ზუსტად გელა ზვედელიძე. მის წინააღმდეგაც მათ არავითარი საბუთი არ წარმოდგენილია, მაგრამ, როგორც ჩანს, ის სუსტი პიროვნება აღმოჩნდა და გამოიყენა ის მასალები, რომელიც მოპოვებული იყო წინა ხელისუფლების მიერ და, შესაბამისად, დაისჯება კიდევ. უსრნალისტები და ცალკეული პიროვნებები ვერ გადაწყვიტენ, ვინ როდის უნდა გადადგეს და რატომ. მათ არ წარმოდგენიათ არავითარი მასალა. იმ აუდიოჩანაწერში არაფერი დანაშაულებრივი არ არის გარდა იმისა, რომ „რუსთავი 2“-მა ამახინჯებს ამ ჩანაწერებს. რასაც საუბრობს, მიანერს გელა ზვედელიძეს. თქვენ უსრნალისტები არა ხართ მხოლოდ სხვის აზრის გამმხიანებლები. როდესაც სხვის აზრს გადმოსცემთ, თქვენ ხდებით თანამონაწილე იმავე კითხვის. არც ერთი მასალა იმისა, რომ გია ხუბაშვილი და გელა ზვედელიძე უნდა დაისაჯონ, არ წარმოდგენილია და მათ მოუწევთ ამ საბუთების წარმოდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხუბაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ მათაც მოუწევთ პასუხისმგებლობა. დღეს არავითარი საფუძველი არ არსებობს გარდა იმისა, რომ გარკვეული ნაწილი უსრნალისტებისა, ამას ცდილობენ და „ნაციონალური მოძრაობა“ ამას ახერხებს იმიტომ, რომ ვინმე გადადგეს თანამდებობიდან. გელა ზვედელიძე შეინარა მათ შანტაჟს. გამოძიებაში, ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად, ძალიან აქტიურობდა ლაშა ნაცვლიშვილიც, ორივე ძალიან ღირსეულად მოქცა. გია ხუბაშვილს უკვე დაურეკეს ელისო კილაძე და სხვებმა და უფხრეს, შენთან უკვე აღარ გვაქვს პრეტენზია. გაათავისუფლეს გია ხუბაშვილი. გიამ უპასუხა, რა გქნა ახლა, მადლობა გადაგიხადებოთ თუ როგორ მოვიქცე, ამდენი ხანია ტალახს მესროლებო. თქვენ, უსრნალისტები, როდესაც სვამთ ასეთ კითხვებს, უნდა გადადგეს თუ არა ლაშა ნაცვლიშვილი, რისთვის უნდა გადადგეს? თქვენ თვითონ მიპასუხეთ, სადაა ამის საფუძველი? რა შუაშია ლაშა ნაცვლიშვილის გადადგომა, იმიტომ, რომ ელისო კილაძეს სურს? თქვენ არა ხართ ფოსტალიონი ჩემი აზრით, თქვენ ბრძანდებით უსრნალისტი. კითხვას როდესაც სვამთ, თქვენ ხართ მონაწილე და ვალდებული, ამ კითხვის გამოორკების, თქვენ ხომ სუფილიონი არა ხართ?! ე.ი. ელისო კილაძე თუ იტყვის, უნდა გადავიხადოთ მთელი მთავრობა ზვად? ესა ჩვენი უსრნალისტიკა?! თქვენ რომ თქვათ, მეც უნდა გადავდგე?! – განაცხადა ივანიშვილმა და დასძინა, რომ კონკრეტული პირების ბრალეულობა გამოძიება უნდა დაადგინოს.

უსრნალისტის კითხვის საპასუხოდ, იყო თუ არა კირვალძე ის მინისტრი, რომელთან დაკავშირებითაც მინიშნება გააკეთა პრემიერმა, მან უპასუხა, რომ დავით კირვალძე იყო ის ერთი მინისტრი, ვის სამინისტროსთანაც კითხვები გააჩნდა.

რაც შეეხება კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს, პრემიერის განცხადებით, მას ყველაზე მეტად აქვს სახელმწიფოებრივი აზროვნება. კითხვაზე, მოსალოდნელია თუ არა საპრეზიდენტო კანდიდატის შეცვლა? მისი მტკიცებით, პრეზიდენტის პოსტზე გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურა არც ერთ შემთხვევაში არ შეიცვლება.

– მიინდა დაგარწმუნოთ, რომ მარგველაშვილის კანდიდატურა არც ერთ შემთხვევაში არ შეიცვლება. რამეთუ ისე „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს, მე დამადანაშაულოს არათანმიმდევრობაში, თითქმის მე ვცდილი ჩემს გადაწყვეტილებებს, მიინდა უსრნალისტებს გიხივოთ, შემახსენოთ, რამდენი გადაწყვეტილება შევცვალე, რაც პოლიტიკაში მოვედი. მე მაქვს პირიქით პრეტენზია, რომ ძალიან თანმიმდევრული ვარ, ძალიან ვიცავ ჩემს წინა ნათქვამებს. არათუ გადაწყვეტილებებს, არამედ პროგნოზებსაც კი ძალიან კარგად ვარტყამ. ერთადერთი თემა ააგროეს ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის საკითხი. არავითარი საფუძველი არ

ჰქონდა სააკაშვილს ეთქვა, რომ მე გადაწყვეტილებებს ვიცვლი, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა გაიხსენა სალომე ზურაბიშვილთან გამართული მოლაპარაკებები. ივანიშვილის განცხადებით, სალომე ზურაბიშვილი გარკვეულ თანამდებობებზე კოალიციის მხარდაჭერის მიღებას ცდილობდა.

– რამდენიმე დღის წინ მე განაცხადე, რომ სალომე ზურაბიშვილთან არ მაქვს შეთანხმებული, ვიტყვი თუ არა, რას შევხებოდა ჩვენი საუბარი. თუ მას ექნება სურვილი, მე ვისაუბრებ იმაზე, თუ რა თემები განვიხილეთ. მისი სურვილი იყო, რომ ჩვენს გუნდს მხარი დაეჭირა მისთვის რაღაც თანამდებობებზე, რაც განიხილებოდა, უფრო კონკრეტულად განცხადების გაკეთება მერიდებდა. სალომე ცდილობდა ჩვენი გუნდის მხარდაჭერის მიღებას და მე შევხვედი რამდენჯერმე, განვიხილავდი ამ საკითხს. გუნდის წევრებშიც ხდებოდა ამის განხილვა, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა პრესკონფერენციაზე ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ისაუბრა. მისი განცხადებით, ვისაც ეკონომიკა ესმის, იცის, რომ ახალი მთავრობის მოსვლიდან 7 თვეში ეკონომიკის აღორძინება შეუძლებელია.

– ვისაც ეკონომიკა ესმის, იცის, რომ ახალი მთავრობის მოსვლიდან 7 თვეში ეკონომიკის აღორძინება შეუძლებელია. ეს არის აბსურდი. რა, მოლოდინი იყო, რომ 7 თვეში ეკონომიკა აღორძინდებოდა?! ბაქრატისთან პოლიტიკა მე გავაჟღერე მედიაში, რომ ვიცით, ეკონომიკა 7 თვეში ვერ აღორძინდება, მაგრამ სათქმელად კარგაო. ძალიან წარმატებული გუნდი მყავს, მათ შორის გიორგი კვიციანიც. გუშინ მქონდა თათბირი ეკონომიკურ ჯგუფთან და ძალიან ფართოა სპექტრი, რითაც არის დაკავებული ეკონომიკის სამინისტრო. მაგალითად, არის აეროპორტის თემა, რომელსაც მართავს თურქული კომპანია „საფრენი ზოლი“ არის კატასტროფული. მე თვითონ დაფრინავ ბევრს და რამდენჯერმე დაენარცხა თვითმფრინავი, ისეთი ხმა აქვს. რომელ ქვეყანაშიც არ უნდა წახვიდეთ, ასეთი ზოლით არ სარგებლობენ, ახფალტი იყრება. რთული დასალაგებელია ძალიან. ამის მსგავსი ბევრი შეკითხვა აქვს, იგივე ზღვაზე მშენებლობასა და ჩინელების თაობაზე, რაზეც საზოგადოებაში დიდი შფოთი არსებობს. აი, ამის მსგავს საკითხებს დიდი დრო სჭირდება და შრომატევადი საქმე აქვს. ძალიან შრომისმოყვარე, ძალიან კარგი კაცია კვიციანი, მე ძალიან მიყვარს ყველა მინისტრი, ასეთივე ხადურნიც და წარმატებით ართმევს თავს თავის ფუნქციებს. მე გიორგი კარგი მინისტრები გვყავს, კონკურსის მათ შორის ტყუილად არ არის. ამ კონკურსებზე მარგველაშვილი საოცრად პასუხობს, რომ გამოვასწორობო, რა უნდა გამოვასწორო, მე არ ვიცი, ვფიქრობ, ძალიან კარგი მინისტრი იყო. განსხვავებით, რაც აქვს მარგველაშვილს და შეიძლება, არ აქვს სხვა მინისტრებს, მას აქვს სახელმწიფოებრივი ხედვა და აკეთებს ანალიზს და სახელმწიფოს გამზადებული ხელმძღვანელები, – განაცხადა ივანიშვილმა.

იქნება თუ არა ვადაშვილი საპარლამენტო არჩევნები? უსრნალისტის ამ კითხვის საპასუხოდ პრემიერი აცხადებს, რომ „პრეზიდენტმა ბოლომდე არ განირა თავისი გუნდის წევრები, რომლებიც საეჭიოდ არიან მოხვედრილი პარლამენტში“.

– ამას უნდა ჰქონდეს საფუძველი. ამ ინიციატივით სახელისუფლებო კრიზისი უნდა შეიქმნას, რომელსაც ჩვენ ვერ შევქმნით, რადგან თავად ხელ უმრავლესობაში. ჩვენ თვითონ ვერ დავითხოვთ და ამას ვართულებთ არ გავაკეთებთ. ამის საფუძველზე ჰქონდა პრეზიდენტს და იმის მაგივრად, რომ ეს გამოეყენებინა, მუდამ გვარკვევს. ქუჩაში გამოვიდა 19 აპრილს და ვის ელაპარაკება, თავადაც არ იცის. 19 აპრილის დემონსტრაციაზე გამოდის პრეზიდენტი და აკრიტიკებს მთავრობას. ეს იყო იუმორი და ამ დროს აპრილში, პირველიდან ბოლომდე, მას ჰქონდა ამის საშუალება, რომ მთავრობა დაეთხოვა. ის ოპოზიციის ლიდერია, ამავე დროს პრეზიდენტი და უკმაყოფილო ახალი ხელისუფლებით და ჩემით. გამოვიდა და ვილადაც უჩივის, ანეკდოტური სიტუაცია იყო. მას შეეძლო დაეთხოვა მთავრობაც და პარლამენტიც და შეეძლო დაენიშნა ვადაშვილი საპარლამენტო არჩევნები. მას ამის კონსტიტუციური უფლება ჰქონდა. არ გამოიყენა, რადგან ბოლომდე არ განირა თავისი გუნდის წევრები, რომლებიც საეჭიოდ არიან მოხვედრილი პარლამენტში. ხმების ის პროცენტი, რაც მათ მიიღეს, კითხვებს ზადებს. დღევანდელი რეიტინგი მათი არის 4%-მდე. გამოვიდა პრეზიდენტი და ხალხთან ჩიოდა მიშველეთო. არადა, ხალხმა მას მისცა ეს უფლებები. მერაბიშვილი, მე გიორგი, საკუთარ თავს მოუწოდებდა, რომ ევროპულ ფასეულობებს ეცით პატივი. აბა, მე რას მომიწოდებდნენ და ჩემს გუნდს, – განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილის განცხადებით, სააკაშვილს რომ სერიოზულ ოპონენტად განიხილავდეს, ციხის კედლები 2 მილიონად ყიდვის შესახებ განცხადება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის დასაწყებად საკმარისი იქნებოდა.

– მე გაიხსენე უპასუხისმგებლო განცხადება პრეზიდენტის და ამავედროულად, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ჩანაწერი, როგორ პოულობენ ამ ხალხს ყველას ერთნაირებს, საოცარია. ის ჩემზე აკეთებს განცხადებას, რომ სიცრუეში აცხოვრებს ქვეყანას და ასეთი განცხადება გააკეთა, რომ სულ ცრუობს. იმ ინტერვიუში, როდესაც ამ სამეულზე – გელა ზვედელიძეზე, ლაშა ნაცვლიშვილზე და გია ხუბაშვილზე აუთოტაჟი იყო. მე გავაკეთე ანალიზი და ამის საფუძველი აბსოლუტურად გამაჩნდა, ეს ჩანაწერები, სხვათა შორის, „ნაციონალური მოძრაობის“ დროს არის გაკეთებული. ისიც ვიცით, რომ უზარმაზარი არქივი არსებობს მათ მიერ შექმნილი. ასე რომ, ჩემ მიერ გამოთქმული ეჭვი აბსოლუტურად საფუძვლიანი იყო. ამავედროულად, მე იქ უსრნალისტს პრინციპულად ვეთანხმები, რომ საბოლოო სიტყვა გამოძიებამ უნდა თქვას. ეს არ არის ის, რასაც ამბობს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი, ყოველგვარი აპელირების გარეშე, რომ ივანიშვილმა 2 მილიონი გადაიხადა. მას რომ სერიოზულ ოპონენტად განვიხილავდე, საკმარისია ეს, რომ მასზე სისხლის სამართლის საქმე აღიძვრას ცილისწამებისთვის, მაგრამ მე ამისთვის დროს აღარ ვაკრავა. მე გიორგი, მას ამის სურვილიც აქვს, რომ პირადულზე გადაიტანოს. ნახეთ გამონათქვამები სააკაშვილის ადმინისტრაციის უფროსის, რასაც აკეთებდა სააკაშვილი და მისი გუნდი წლების განმავლობაში, იმას მომანერს მე, რომ არ ვარ თანმიმდევ-



რული და სიცრუეში მინდა ვამყოფო მთელი ქვეყანა. საზოგადოებას შევხსენებ, რომ სიმშვიდე შეინარჩუნონ, აღარ წამოვიდნენ შანტაჟზე და განსაკუთრებით სტუდენტები. ჩემი აზრით, სპეციალურად დადის, რა ჰქონდა სათქმელი სტუდენტებთან, ვერ გავიგე, რისთვის მივიდა. აღარ ეგებებიან მათ გამონათქვამებს, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერის განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ „ნაციონალური მოძრაობა“ დაიშლება, ეს არ არის ქვეყნისთვის საფრთხე, მაგრამ მე მაქსიმალურად ვცდილობ, მათ გამონათქვამებზე რეაქცია არ გავაკეთო, პრეზიდენტი შეიძლება არის გამორჩეული, როგორც ლიდერი, უპასუხისმგებლო გამონათქვამებით, უპასუხისმგებლობაზე მე ვეძახი იმას, რომ არავითარი არგუმენტი არ აქვს, მაგრამ მაინც ლაპარაკობენ. ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ სახე. თუ გნებავთ რესტორანში რაღაც ინციდენტი მოხდა, რომელსაც პოლიცია იძიებს. ნახეთ „ნაციონალური მოძრაობის“ გამონათქვამები, ყველანი უკვე პოლიტიკურ დევნად აფხაბენ იქ მომხდარს, როცა რესტორანში ქვიფობდნენ და ვილადა ქალბატონს შეურაცხყოფა მიაცენეს, როგორც მე ვიცი, თუმცა მე არაფერს ვამტკიცებ. ამას მოჰყვა ხელნართული ჩსუბი რესტორანში და ლიდერებმა პოლიტიკური იარაღი მიანებეს ამასაც. ასეთი გამონათქვამებით ისინი არა თუ თავიანთ პარტიას უკეთებენ დევაღვაცას, არამედ თითოეული წევრი უკეთებს დევაღვირებას საკუთარ პიროვნებას და ფასი აღარ აქვთ მათ გამონათქვამებს. შალვა ნათელაშვილს ემსგავსებოდა მათი ლიდერიც და მათი წევრებიც. შესაბამისად, საფრთხედ რომ წარმოვიდგინო მათი დაშლა აცხადებდა, ასე არ არის. რაც შეეხება იმას, რომ არსებობს საფრთხე ერთპარტიულობის, ჩვენ ამის თადარიგი გვაქვს დაცული დიდი ხნით ადრე, რადგან კოალიციაში არის რამდენიმე პარტია, თუ გარე ძალა არ იქნება, ასეთ შემთხვევაში პარტიები გაიშლება და თვითონ მოახერხებენ ოპონირებას ერთმანეთში. რაც შეეხება მესამე გარე ძალას, საუბედუროდ, მე ვერ ასეთს ვერ ვხედავ. თუმცა ამის დიდი სურვილი გამაჩნია, – განაცხადა ივანიშვილმა.

კითხვა შრომის კოდექსთან დაკავშირებითაც დაისვა. ივანიშვილის განცხადებით, იუსტიციის სამინისტრომ მთავრობას ნორმალური, ევროპულთან ახლოს მდგარი შრომის კოდექსი შესთავაზა. თუმცა, მას აკლდა ერთი რამ – არ იყო სათანადოდ შეჯერებული ბიზნესმენებთან. უსრნალისტებთან შეხვედრაზე მას პკითხეს – ის ფაქტი, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი აკრიტიკებს შრომის კოდექსს, ხოლო იუსტიციის მინისტრი იცავს მას – ხომ არ მიუთითებს გუნდის არაკოორდინირებულობაზე? პრემიერის განცხადებით, გიორგი მარგველაშვილი იყო აბსოლუტურად კორექტული და საჯაროდ არ გაუარტიკებია შრომის კოდექსი. მისი თქმით, პრეზიდენტობის კანდიდატს ჰქონდა ამის უფლება.

– დამქირავებლის და დაქირავებულის უფლებები ერთნაირად უნდა იყოს დაცული. თუმცა მეც მარგველაშვილის იმ პოზიციას ვიზიარებ, რომ ბიზნესს მეტი უნდა დაეთმოთ. საშუალო ადგილების შექმნისას ინვესტორები შრომის კოდექსსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. შესაბამისად, მიდის მუშაობა და ეს აბსოლუტურად ჯანსაღი პროცესია. სპეციალისტები მუშაობენ, ბიზნესმენების შენიშვნები გაითვალისწინეს მაქსიმალურად, – აღნიშნა პრემიერმა და დასძინა, რომ მეორე მოსმენაზე საზოგადოება უფრო დახვეწილ შრომის კოდექსს გაეცნობა.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც პრემიერმა ისაუბრა, ეს ეროვნულ ბანკის პრეზიდენტს შეეხებოდა. ივანიშვილი ეროვნული ბანკის პრეზიდენტს გიორგი ქადაგიძეს მოუწოდებს, თავი დაანებოს პოლიტიკურ განცხადებებს და საკუთარ საქმიანობას მიხედოს. პრემიერის თქმით, ის რამდენჯერმე შეხვდა ქადაგიძეს და მან ლამის პატივს სთხოვა „ქართუ ბანკის“ მიმართ განხორციელებული ზენოლის გამო, რაშიც ის მონაწილეობდა.

ჩვენი კითხვის საპასუხოდ – რა აძლევს საფუძველს, რომ 2014 წლის ნატოს მინისტრიალზე მას – სამოქმედო გეგმას – მივიღებთ, პრემიერმა განაცხადა, ამის ობიექტური ამბიცია აქვს, თუმცა საზოგადოების მოლოდინის ძალიან აწვევს არ უნდა.



„საქართველოში გიიალუმიის ჩატარება ქართველი პრის ღირსებას ლახავს“

მერი ნამორაძე

ვისაც ევროპელობა გიხარიათ, ისიც უნდა გაითავისოთ, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებიც ევროპის განუყოფელი ნაწილი არიან და საერთაშორისო დღეების აღსანიშნავად წელნიანადში ერთხელ ქუჩაში გამოსვლა და აზრის დამოუკიდებლობა მათაც შეუძლიათ. მით უმეტეს, თუ აზრის გამოხატვის თავისუფლება „ცისფრებისგან“ იქნება ნიციური ბული თუ „ვარდისფრებისგან“, განუხრებლად არის მხარდაჭერილი ქვეყნის ხელისუფალთაგან. მერე რა, რომ ქართული გემოვნება ხშირად ევროპულს არ ემთხვევა? მაინც უნდა ვაჩვენოთ ევროპას, რომ ის, რაც ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელია (გეი-დალუშები და მსგავსი შეკრებები), მაინც უნდა იქნას აფიშირებული-აღიშნული დემოკრატიის სახელით.

გავრცელებული ინფორმაციით, 17 მაისს საქართველოში ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნის პარალელურად, მისი საინაოლმდეგო აქციაზე გაიმართება, რომელშიც 500 სასულიერო პირი აპირებს მონაწილეობის მიღებას. სხვათა შორის, ჩვენზე არანაკლებ ევროპულმა რუსეთმა სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს 25 მაისს დაგეგმილ აღლუმის ჩატარებაზე უარი უთხრა. „ჩვენი მოსაზრებით, ასეთი ღონისძიებების მოთხოვნა ქალაქში არ არსებობს“, – განუცხადა ინტერფაქსს მოსკოვის მერიის რეგიონალური დეპარტამენტის უსაფრთხოების ხელმძღვანელმა. ისე, საინტერესოა, ამ ერთ მუჭა ქართველებში რამდენი სექსუალური უმცირესობა მოიძებნა, რომ კლუბში თუ დარბაზში ვეღარ ეტყვიან და საერთაშორისო დღე ქუჩაში გამოსვლით და საზოგადოების დიდი ნაწილის გაღიზიანებით უნდა აღნიშნონ? საკითხი, რა თქმა უნდა, სო-

ციალური ქსელის განსჯის საგანიც გახდა, სადაც ხელისუფლების მიერ აქციის წახალისება გაკრიტიკებული: „საქართველოში გეი-დალუშის ჩატარება ლახავს ქართველი ერის ღირსებას. ვის მოვთხოვთ ერის ღირსების დაცვა? ქართული ოცნების მხარდაჭერებო, ეს იყო თქვენი ოცნება?“, – ანი ნახეთ, ყველა ჰომოსექსუალობას რომ დაიჩემებს“, ძალიან კარგია! „ცოტა მწყინს, რომ იმ პოლიტიკური ძალის პოლიტიკოსებს, რომლებსაც მე ზოგადად ვუჭერ მხარს, არც ერთხელ ასე ხმადაღმა არ გაუკეთებიათ მსგავსი განცხადება“, – ეხენი მართლა მიშაზე უარესი ურჯულოები არიან“, – როგორც მიშა მოვიშორეთ, შენც ისე მოგიშორებო, თუ არ მორჩები ანტიქართველურ განცხადებებს“, – წერენ გულმოსული ვებმომხმარებლები.

ყურნალისტებიან გუშინ-დღე შეხვედრებზე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მთავრობა ყველა უმცირესობის უფლებას დაცვას. როგორც პრემიერმა აღნიშნა, მას არაერთხელ უნებაცხადებია, რომ სექსუალური უმცირესობები ისეთივე მოქალაქეები არიან, როგორც თითოეული ჩვენგანი. „ამაზე აქცენტები არ უნდა გაკეთდეს და საზოგადოება ამას ნელ-ნელა მიეჩვევა. არსებობს ხალხის ნაწილი, ვინც ამას ვერ იღებს და სწორედ ამისთვის არსებობს სახელმწიფოში სამართალდამცველი სტრუქტურები. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ნებისმიერი უმცირესობის უფლებები დავიცვათ. ასე იქნება ამ შემთხვევაშიც“, – აღნიშნა პრემიერმა.

მოკლედ, საზოგადოების დიდი ნაწილი ვერაფრით ეგუება საქართველოში სექსუალური უმცირესობების გააქტიურებას და მათთვის ადგილის მიჩენას ისევე „ჩრდილში“ აპირებს. „იდენტობის“ აქტიურობა საზოგადოების გამომწვევას უფრო შავს, ყოველ შემთხვევაში, ქართულ ტრადიციებზე გაზრდილი ადამიანები ასე აღიქვამენ.

გიუმო უორღანია „ჰაჯი მურატი“ ღგამს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თონა ქოქრაშვილი (წუნე). თუკო ჩუბინიძე (ანა ულუხანოვა), ქეთი გეგეშიძე (დედა ნადეჟდა), სალომე მაისაშვილი, იაკო ჭილაია (კოპერვეინი).

შემოქმედებითი ჯგუფი უკანასკნელ დეტალებს ათანხმებს და მათგან განსხვავებით შეასახებინა ემზადება. როგორც რეჟისორი გიუმო უორღანია აცხადებს, ეს არის ამ ნაწარმოების მსოფლიო პრემიერა, რადგან მსოფლიოს არც ერთ თეატრში ლეე ტოლსტოის „ჰაჯი მურატი“ არ დადგმულა.

გიუმო უორღანია, რაჟისორი:

– „ჰაჯი მურატი“ დასადგმულად იმიტომ ავირჩიე, რომ ეს ნაწარმოები არის იმპერიალიზმის შესახებ, ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის დაჩაგრებაზე, ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს დაჩაგრებაზე, თავისუფლების შეზღუდვაზე, თავისუფლებისთვის ბრძოლაზე. ამ ნაწარმოებში იმპერიალიზმის პრობლემებია განხილული. ეს არის სიყვარულის კრახი სიყვარულის ზეიშით, თავგანწირვა სამშობლოსათვის, ეს თემებია ჩვენს სპექტაკლში, რაც მგონია, რომ დღესაც საოცრად აქტუალურია.

– რატომ „ჰაჯი მურატი“?

– „ჰაჯი მურატი“ ყოველთვის არასასურველი თემა იყო რუსეთის იმპერიისთვის. ისეთ დიდ მწერალს, როგორც არის ტოლსტოი, მასაც კი ცენზურა უზღუდავდა იმ უფლებებს, რასაც მწერლის უფლებები ჰქვია. ალბათ, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მან ნიკოლოზის მიმართ ასეთი დამოკიდებულება გამოხატა და ხალხის იმ მოდელის შესახებ ისაუბრა ხმადაღმა, რომელიც ნიკოლოზმა შექმნა. სახელმწიფოს ეს მოდელი, რომე-

ლიც ნიკოლოზმა შექმნა, დამყარებულია შიშზე, ჩავგვრასა და მიტაცებაზე. ეს ყველაფერი შემდეგ ჩვენ ვიხილეთ ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა კავშირში. ეს ერთი და იგივე მოდელი იყო. საბჭოთა კავშირი ერთი ყაზარმა იყო, მეტი არაფერი და ამის შესახებ ლაპარაკია „ჰაჯი მურატი“ში. ლაპარაკია კავკასიის დაპყრობაზე, კავკასიის მოქცევის შესახებ თავის ჭკუაზე, როგორც ირკვევა, ეს ვითომ გამოვიდა, მაგრამ მერე აღარ გამოვიდა, მერე დაინგრა საბჭოთა კავშირი, თუმცა, სამწუხაროდ, ომი თავისუფლებისთვის, ომი დამოუკიდებლობისთვის, ომი თვითგამორკვევისთვის დღესაც გრძელდება. ნაწარმოებში მოქმედება ჩემნ-დაღესტანში ხდება, მაგრამ ეს მარტო მათი პრობლემა არ არის, ეს ზოგადად მსოფლიო პრობლემაა. ჩვენი პრობლემაც არის, რა თქმა უნდა, გავიდა მთელი ცხოვრება თავისუფლებისთვის ბრძოლაში.

– ძალიან დიდი ხანია რეჟისორი ხართ. აქამდე დაგიდგამთ „ჰაჯი მურატი“?

– არა. არც მე დამიდგამს არც არავის დაუდგამს.

– გამოდის, პრემიერა საქართველოს მასშტაბით?

– მგონია, რომ პრემიერაა მსოფლიო მასშტაბით. „ჰაჯი მურატი“ გადამღებულა რაღაც ფილმები, მაგრამ მათ ტოლსტოის ნაწარმოებთან არაფერი საერთოდ არ აქვთ. ისინი ინტერნეტშიც დეეს და, თუ ნახავთ, მიხვდებით, რომ ტოლსტოის ნაწარმოებისგან ძალიან შორს დგანან. მაგრამ თეატრში, არა მგონია, რომ ვინმეს სპექტაკლი დაედგა ამ ნაწარმოებზე. რუსეთში რომ ეგ არ დაიდგება, დღესათვის ნათელია.

– გამოდის, რომ მსოფლიო პრემიერა საქართველოშია?

– ასე გამოდის.

მერი ნამორაძე

როგორც იქნა, ხელისუფლებამ ნარკომანიის პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის შეკრება შეისმინა და ნარკოტრაფიკის საშუალებების დეკრიმინალიზაციაზე ალაპარაკდა. აქჯერად საუბარი მხოლოდ მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციაზე მიდის და რიგში, ალბათ, სხვა საშუალებებზე ჩადგება. რატომ მაინც დამინც მარიხუანა და რა შედეგს მოგვცემს დეკრიმინალიზაცია, ამის შესახებ „ახალი თაობა“ ფსიქო-სოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრ „ახალი გზის“ ხელმძღვანელს, ფსიქოლოგს, დალი უშარიძეს ესაუბრა.

– ქალბატონო დალი, ხელისუფლება მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციაზე ალაპარაკდა. რატომ გაკეთდა აქცენტი მხოლოდ ამ ნარკოტიკულ საშუალებაზე?

– საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ მარიხუანა მსუბუქი ნარკოტიკია და მისი მოწვევა დიდი დანაშაული არ არის. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ დანაშაული არ არის არც ერთი ნარკოტიკის მოხმარება. ეს არის გამოწვეული იმით, რომ ადამიანები რაღაც ნივთიერებაზე არიან დამოკიდებული, ხოლო ვინც დამოკიდებული არ არის, სიბრყვიის გამო სინჯავს ნარკოტიკს. მხოლოდ მარიხუანაზე აქცენტის გაკეთება, ჩემი აზრით, მთლად გამართლებული არ არის.

– ანუ როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება?

– საზოგადოების მოთხოვნა უნდა იყოს, რომ ნარკოტიკის მოხმარება საერთოდ არ ჩაითვალოს კრიმინალად და ამის გამო ადამიანები არ დაესაჯონ და არ გაუშვან ციხეში. ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ წავახალისებთ ნარკოტიკების მოხმარებას. ამ პროცესს თან უნდა ახლდეს პარალელურად პრევენციული ღონისძიებები, საზოგადოება უნდა მუშაობდეს იმაზე, რომ ადამიანებს არ გაუჩნდეთ სურვილი, გასინჯონ ნარკოტიკი. მაქსიმალურად შეზღუდული უნდა იყოს ხელმისაწვდომობა ნარკოტიკულ საშუალებებზე, მაგრამ თუ ადამიანი მაინც მოიხმარებს, მას დახმარება სჭირდება და არა დასჯა. ამდენად, ნებისმიერ ნარკოტიკულ საშუალებაზე უნდა გავრცელდეს საზოგადოების ეს მოთხოვნა, რომ არ იყოს ეს კრიმინალიზებული. რაც შეეხება ყიდვა-გაყიდვას, ეს მაინც დანაშაულად იქნება ჩათვლილი და იქნება დასჯადი. ადამიანები გაყიდვის გამო მაინც დაისჯებიან, კულტივირების გამო მაინც დაისჯებიან.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ დეკრიმინალიზაცია არ იქნება წახალისება და ამ პროცესს უნდა მოჰყვეს პრევენციული ღონისძიებები. მაგრამ თუ სახელმწიფო ვერ გამოძენის სახსრებს პრევენციისთვის და მაინც მოხდება დეკრიმინალიზაცია, გარკვეულწილად ხომ არ წახალისდება მოხმარება?

– რა თქმა უნდა, როცა სიმკაცრე შემცირდება და საერთოდ აღარ იქნება სანქცია, ეს პირველ ხანებში გამოიწვევს მოხმარების მომატებას, მაგრამ მალე გადაეჩვენებიან, რადგან მოზარდებში ყოველთვის მუშაობს აკრძალული ხილის სინდრომი. ხშირ შემთხვევაში, როგორც თავგადასავალი, ისე არის ხოლმე აღქმული ეს ყველაფერი მოზარდების მხრიდან – შეეთამაშა ხივთის, გააკეთებს რაღაც აკრძალულს! ეს რომ მოესწებათ, გამოიწვევს იმას, რომ რამდენი ბრყვიც არის, ისევე იმდენი დარჩება, მაგაზე მეტი აღარ იქნება და დროთა განმავლობაში ეს ყველაფერი დადგურდება. პირველ ხანებში, რა თქმა უნდა, ასეა და ყველა ქვეყანაში ასე იყო – როცა კანონი რბილდება, ეს ზრდის მოხმარების რაოდენობას.

– და ერთი ნაბიჯია დამოკიდებულების განწმენდ, ასე არ არის?

– მარიხუანას მსუბუქ ნარკოტიკს იმიტომ ეძახიან, რომ მასზე თავის დანებება ძალიან ადვილია. უბრალოდ, ადამიანი როცა რაღაც ბარიერს გადალახავს, მოზარდზე მაქვს საუბარი, ეს თუ დაუსჯელი რჩება (დასჯაში არ ვგულისხმობ იმას,



რომ დააჯარიმონ ან ციხეში ჩასვან) მშობლებისგან, ორგანიზმაც შეიძლება „დასაჯოს“, არ მიიღოს ნარკოტიკი – ხშირად ფსიქიკური გართულებებიც კი ახლავს ხოლმე პირველივე მოხმარებას, მაშინ მას შეორედ აღარ გაუჩნდება სურვილი მოხმარებისა.

რაც შეეხება იმას, რომ სახელმწიფო ვერ გამოახავს სახსრებს პრევენციისთვის, პრევენცია არ არის დაკავშირებული ძალიან დიდ თანხებთან. შეიძლება მოზარდებს ოჯახმა ჩამოუყალიბოს უნარი, უარი თქვას შეთავაზებულ ნარკოტიკზე. ამას ორგანიზება სჭირდება, საზოგადოების მზაობა სჭირდება. შიში იმისა, რომ უფლი არ გვაქვს და ამას ჩვენ ვერ გვაკეთებთ, ისევე არაინფორმირებულობის ბრალია. ბევრი მაგალითი არსებობს იმისა, როგორ შეიძლება პრევენციული ზომების მიღება. ერთი სკოლის მშობლებმა შეიძლება მოილაპარაკონ და გარკვეული წესები დააწესონ, ორგანიზებულად აკონტროლონ შვილები. ყოფილა შემთხვევები, უბნის მოსახლეობას მიუცია ორგანიზებული სახე პრევენციული ღონისძიებებისთვის. ყველა დონეზე შეიძლება ამის ორგანიზება. თბილისშიც იყო ამის მაგალითები, იყო ერთ უბანში პატარა ეზო, სადაც პენსიონერები იკრიბებოდნენ ეზოში დღის მეორე ნახევარში და ბავშვებს თავისუფალი დროის ორგანიზებაში ეხმარებოდნენ. მათი მეთვალყურეობის ქვეშ უკვე მეტი ხალხი ჰქონდათ ბავშვებს. სპორტული ღონისძიებები იმართებოდა, კონცერტებსაც აწყობდნენ ერთი პატარა ეზოს ფარგლებში. ხომ შეიძლება ასეთი რამ გაკეთდეს. ეს საკმარისია იმისთვის, რომ ბავშვს არ გაექცეს თვალი და გული აკრძალული ქმედებებისკენ.

– მიიმე ნარკოტიკების მოხმარების თვალსაზრისით, როგორცაა „ნიანი“ და სხვა, რა ვითარება გვაქვს?

– ვითარება კვლავ მიიმე რჩება. ამასთან დაკავშირებით არანაირი კვლევა არ ჩატარებულა და მხოლოდ ჩემი დაკვირვებით შემიძლია გითხრა, რომ ვითარება მიიმეა. ძალიან ძლიერ დამოკიდებულებას იწვევს დემომორფი და ცვლის ადამიანების დამოკიდებულების პრობლემას საერთოდ ნარკოტიკების მოხმარებისადმი. ადამიანებს პირველ ხანებში ძლიერი ეიფორია აქვთ და ძალიან მოსწონთ ეს მოგომარეობა და მხოლოდ პოლიციის პრობლემად აღიარებენ მოხმარებას. ჰგონიათ, რომ მხოლოდ ეს არის მათი პრობლემა და მეტი არაფერი, მაგრამ სადაც ერთი-ორი წლის შემდეგ წყნებით პრობლემის ფიზიკური განცდა. აღარ უნდათ ამ ნივთიერების მოხმარება, მაგრამ უკვე ვეღარ აღწევენ თავს, რადგან ძლიერი დამოკიდებულებას იწვევს. მკურნალობაც არაეფექტურია. დეტოქსის აზრი აღარ აქვს. ერთადერთი გამოსავალი არის ჩანაცვლებითი თერაპია, მაგრამ ესეც არ არის ხელმისაწვდომი ყველასათვის როგორც ფიზიკურად, ისე ფინანსურად. სახელმწიფომ უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, რომ გაიზარდოს ამ პროგრამებისადმი ხელმისაწვდომობა როგორც ეთიკურად, ასევე ფინანსურად.

გაიერნა ესანელაუს ისევ აჯოგა

როგორც ჩანს, მიუნხენის „ბაიერნმა“ ორი ესპანური გრანდი „ბარსელონა“ და მადრიდის „რეალი“ პირში ჩალაგამოვლებული დატოვა და მათი მთავარი სამიზნე, ბრაზილიის ნაიერებისა და „სანტოსის“ შემტევი ნეიმარი გადაიბირა.

დაზუსტებით ვერაზინ ვერაფერს იტყვის, რადგან ეს ინფორმაცია „სანტოსის“ ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა, ვისენტე კასკონემ საკუთარ ბლოგზე მოსკენი გამოაქვეყნა, სადაც წერია, რომ 21 წლის ბრაზილიელი ფეხბურთელი, ნეიმარი და სილვა „ბაიერნის“ ღირსებას დაიცავს.

– შემიძლია, დაგიდასტუროთ, რომ ყველაფერი მოგვარებულია. ნეიმარი „ბაიერნში“ გადავიდა. ეს ამბავი ჩემი გამოცდილი არაა და სიმართლეს შეესაბამება. 2013 წლის, აგვისტოდან, ის გერმანული კლუბის ფეხბურთელი გახდება. ნეიმარი ესპანეთში არ წავა და შესაბამისად, არც „რეალი“ და არც „ბარსელონა“ ითამაშებს. ის გერმანიაში მიდის. ვისაც არ ჯერა, შეგიძლიათ დაიცადოთ. – წერს კასკონე.

სამაგიეროდ, „რეალი“ შეეცდება „მანჩესტერის“ შემტევი უეინ რუნი გადაიბიროს. გავრცელებული ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ და ინგლისის ნაკრების ფეხბურთელმა უეინ რუნიმ ფერაგიუსონს სატრანსფერო ფანჯარაზე დაეყენა სთხოვა, მა-

შინვე გამოეხმარუნენ ევროპის სხვადასხვა კლუბები. რუნის შექმნაზე პრეტენზია „ჩელსისა“ და „ბარსელონას“ შემდეგ მადრიდის „რეალმა“ გამოთქვა. ინფორმაციას ამის შესახებ პორტუგალიური მედია ავრცელებს.

მადრიდელები მზად არიან 27 წლის ინგლისელის სანაცვლოდ 40 მილიონი ევრო გადაიხადონ.

პორტუგალიური მედიის ცნობით, ესპანურმა გრანდმა რუნის შესაძლო ტრანსფერზე მოლაპარაკებები უკვე დაიწყო. ეს თემა იქნება მთავარი განსახილველი საკითხი „რეალის“ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესსა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელ დირექტორ დევიდ გილის შეხვედრაზე.



მილდტეა

ჩემი საყვარელი მარია!

გილოცავ დაბადების დღეს. ვისურვებ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს შენს ოჯახთან ერთად. გაიხარე და ღმერთი შეგეყიოს!



ღვანულ ელიტაში აღზევებულმა საფეხბურთო კლუბმა „მონაკომ“ „მანჩესტერ სიტის“ არგენტინელი ფეხბურთელის კარლოს ტევესის შექმნაში კლუბის ხელმძღვანელებთან წინასწარ შეთანხმებას უკვე მიაღწია. ამის შესახებ ინფორმაციას ფრანგული ყოველდღიური სპორტული გაზეთი „ეკიპი“ ავრცელებს. აღწნული ტრანსფერი მას შემდეგ განხორციელდება, რაც „მონაკოს“ რუსი ხელმძღვანელი დიმიტრი რბოლოვლევი მადრიდის „ატლეტიკოს“ კონსულტულეგიონერს, რადამელ ფალკოს გადაიბირებს. რაც შეეხება კარლოს ტევესის შესაძლო ტრანსფერის დეტალებს, „მონაკო“ მზადაა კარლოს ტევესს ყოველწლიურად 10 მილიონი ევრო ყოველგვარი ბეგარას გარეშე დაურიცხოს. მ. ყ.



რობერტ სტურუა თელავისა და ფოთის თეატრებს მასპინძლობს

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის თეატრი და მისი ხელმძღვანელი რობერტ სტურუა საქართველოს რეგიონების თეატრებს უმასპინძლებენ. ამჯერად რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე ფოთისა და თელავის თეატრების დასები საკუთარ სპექტაკლებს გაითამაშებენ.

16 მაისს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი წარმოადგენს დავით გაბუნიაშვილს შავ კომედიას „პოლანდ, პოლანდ“. სპექტაკლის რეჟისორია პაატა ციკოლია, მხატვარი — ქეთი ნადიბაიძე, მუსიკალური გაფორმება კახაბერ ბაკურაძეს ეკუთვნის. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები გია სურმავა, მარიკა ბუჯია, ნინო პაჭკორია, გიორგი ჯანყარაშვილი და მარტინ ლამბარაშვილი.

17 მაისს კი რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე უკვე თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სა-



ხელმწიფო დრამატული თეატრი დაიკავენ და თეატრის მოყვარული საზოგადოებისთვის ითამაშებს თემურ ხუნაშვილის მონოსპექტაკლს „ლაშაში ცრემლები“. ლიტერატურული კომპოზიციის

ავტორი თავად თემურ ხუნაშვილია.

საქართველოს რეგიონული თეატრების მასპინძლობის პარალელურად, რობერტ სტურუა ახალგაზრდა მსახიობების მიღებას აპირებს და 20 მაისს შესარჩევ კონკურსს ჩაატარებს.

ხელოვნების ცენტრ „რუბიკონში“ კი მონაწილეობს პროექტში „ოთხი დღე სტურუას შექსპირის სამყაროში“, სადაც რეჟისორი ახალგაზრდობას, თეატრის მოყვარულ საზოგადოებას ზედება და მათთვის საინტერესო თემებზე საუბრობს. შეხვედრის პარალელურად, იმართება გამოფენები, სადაც წარმოდგენილია რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცული უნიკალური ექსპონატები, რომლებიც რობერტ სტურუას შექსპირული დადგმების ფოტო, ვიდეო და სხვა ისტორიულ მასალებს ასახავენ. შეხვედრებს ვიდეორეჟინები ასრულებს. ოთხი დღის განმავლობაში ღონისძიების ორგანიზატორთა მიერ წარმოდგენილი იქნება „რიჩარდ მესამის“, „პამფლეტის“, „შობის მეთორმეტე ღამისა“ და „ქარიშხლის“ ვიდეორეჟინები.

თავისუფალ თეატრში ოთხი პრემიერა

ეკა ირემაშვილი

თავისუფალ თეატრში 4 სპექტაკლის პრემიერაა. როგორც „ახალ თაობას“ თეატრში განუცხადეს, ერთ სპექტაკლზე ახალგაზრდა რეჟისორი ვანო ხუციშვილი მუშაობს და მას „ჩემი საუკეთესო მეგობარი“ ჰქვია. ამ სპექტაკლის პრემიერა თავისუფალ თეატრში 23 მაისს არის დაგეგმილი.

16, 18 და 22 მაისს კი თეატრში შეკრებილი საზოგადოებისთვის საკუთარ სპექტაკლებს გორის თეატრი წარმოადგენს. როგორც გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი სოსო ნემსაძე აცხადებს, სამივე სპექტაკლის თიბისური პრემიერაა. „საწვავი“ თავად სოსო ნემსაძემ დადგა, ხოლო „სექტემბრის თოვლი“ და „ყოფილების სარეცელი“ — გიორგი შალუტაშვილი.

გორის თეატრმა „სანავის“ პრემიერა უკრაინული „პრილუსის ფესტივალზე“ ითამაშა. სპექტაკლში მონაწილეობენ კახა ბერიძე სოფი მთიერი და ვახტანგ ჩაჩანიძე.

უკრაინაში ფესტივალზე სპექტაკლმა ფურორი მოახდინა. გორის თეატრმა გახსნა საფესტივალო დღეები პრილუსში, რის შემდეგაც უპრეცედენტო რამ მოხდა. ორგანიზატორებმა რეჟისორი სოსო ნემსაძე ფიურორი მიიწვიეს, რითაც მონაწილეს მისცეს უფლება სხვა მონაწილეთა შეფასებისა. ამელ ნოტომის პიესა „სანავი“ ომისაგან გათავისუფლდა და გაიყვანა ადამიანებზე მოგვიფხრობს. იმაზე თუ გაჭირვების ფაშა, როგორ კარგავს ადამიანი თავის სახეს და რას აღმოაჩენს ის. როგორ ხდება იძულებული პროფესორი, რომლისათვის ყველაზე დიდი სიმდიდრე წიგნებია, რომ თავისი სიმდიდრე ცეცხლს მისცეს რათა გადარჩეს, — აღნიშნულია გორის თეატრის განცხადებაში.

